საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

N 2/30
10/01/2019

2-30-4-201901101551

დეკანის ბრძანება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „სახელმძღვანელოების კონკურსის“ განხორციელების შესახებ

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამათა საგნების სახელმძღვანელოების შექმნის/განახლების კონკურსი;
2. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 20 000 ლარი;
3. ახალი სახელმძღვანელოს შექმნის ანაზღაურება მაქსიმუმ – 5 000 ლარი; არსებულის (2014 წლამდე გამოცემულის) განახლება – მაქსიმუმ 3 000 ლარი;
4. სახელმძღვანელოს აუცილებლად უნდა ჰყავდეს სამეცნიერო და ენობრივი რედაქტორი, რომლის ხარჯებს გაიღებს ავტორი;
5. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს;
6. არჩევითი საგნის სახელმძღვანელო საკონკურსოდ განიხილება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში დარეგისტრირებული იყო არანაკლებ 70 სტუდენტისა; გამონაკლისია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ბილინგვური პროგრამა.
7. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება დეკანის სახელზე, სახელმძღვანელოს დეტალური ანოტაცია (მინიმუმ 500 სიტყვა) და სავარაუდო სარჩევი. სახელმძღვანელო გაფორმებული უნდა

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

იყოს APA-ს სტილით. სახელმძღვანელოს განახლების შემთხვევაში, დამატებით წარმოადგენილი უნდა იქნეს სახელმძღვანელოს ნიმუში;

8. საკონკურსო საბუთები, ხოლო შემდგომში, დასრულებული პროექტები უნდა აიტვირთოს ბმულზე https://www.tsu.ge/ge/faculties/social/books/iv5pzb1oe4ukrny_-/zbhly8sltj3bpsk2b//
9. საკონკურსო პროექტების ბმულზე ატვირთვის ვადა – ა.წ. 11 თებერვლის 17.00 სთ–მდე.
10. გამარჯვებული პროექტები გამოცხადდეს 20 თებერვალს;
11. დასრულებული პროექტების ბმულზე ატვირთვის ვადა – 2019 წლის 1 ოქტომბერი.
12. დაფინანსებული პროექტის ანაზღაურება მოხდება სახელმძღვანელოს წარდგენის, რეცენზირების და საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდგომ;
13. სახელმძღვანელოები გამოქვეყნდება ელექტრონული ფორმით;
14. საკონკურსო პროექტების შერჩევასა და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით
    - თამარ დოლბაია – კომისიის თავჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი;
    - თეონა მატარაძე – კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
    - რევაზ ჯორბენაძე – პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
    - ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში;
    - ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
    - ნანა ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
    - ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
15. დეკანის სამდივნომ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
16. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ.დოლბაია

თამარ დოლბაია

დეკანი
ადმინისტრაცია